

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	----- 2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	-----3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები
4. ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები
5. კაპიტალის ცვლილების ანგარიში
6. გადახდილი ავანსები
7. ბალანსის შემდგომ მოვლენები

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

შპს სხივი +
ფინანსური ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	2019	2018	2017
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	109 523	96 644	53 364
არამატერიალური აქტივები	12 605	6 948	1 404
სულ გრძელვადიანი აქტივები	122 128	103 592	54 768
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3 036 529	1 632 316	1 143 699
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	406 705	167 662	31 675
გადახდილი ავანსები	73 057	357 101	0
სხვა მოკლევადიანი აქტივი			14016
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	270 128	271 485	218 403
სულ მიმდინარე აქტივები	3 786 419	2 428 564	1 407 793
სულ აქტივები	3 908 547	2 532 156	1 462 561
<u>კაპიტალი და ვალდებულებები</u>			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2 764 865	1 656 131	804 651
სულ საკუთარი კაპიტალი	2 764 865	1 656 131	804 651
<u>ვალდებულებები</u>			
საბანკო სესხი	410 964	518 375	328 664
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	710 230	296 477	329 246
საგადასახადო ვალდებულებები	1 355	61 173	0
გადასახდელი ხელფასები	8 654		
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12 479		
სულ ვალდებულებები	1 143 682	876 025	657 910
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3 908 547	2 532 156	1 462 561

დირექტორი /



/ დათო ბოლქვაძე

მთავარი ბუღალტერი /



/ ეკატერინე კოპალიანი



შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

შპს "სხივი+" საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
საანგარიშგებო წელი 2019
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

ამონაგები რეალიზაციიდან	4 388 663
სხვა შემოსავალი	1 853
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2 465 823)
საერთო მოგება	1 924 693
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(359 642)
ცვეთა და ამორტიზაცია	(21 906)
საპროცენტო ხარჯი	(34 780)
იჯარის ხარჯი	(246 917)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(93 196)
საოპერაციო მოგება	1 168 252
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(59 518)
პერიოდის მოგება	1 108 734
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	1 656 131
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი პერიოდის ბოლოს	2 764 865

დირექტორი /  / დავით ბოლქვაძე

მთავარი ბუღალტერი /  / ეკატერინე კოპალიანი



1. შპს „სხივი +“ (ს/კ 405081058) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ავეჯის ფურნიტურის, ალუმინისა და შუმის აქსესუარებით. და სხვა პროდუქციით. კომპანია დაფუძნდა 2015 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი და დირექტორი, დაფუძნებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე არის დათო ბოლქვაძე (61001078356). მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა N 25, კორპუსი 1, ბინა N86
ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერისთავის ქ N1ა.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	აშშ დოლარი
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღრიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-15 წელი
არამატერიალური აქტივები	3-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 3-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს მარაგის საშუალო შეწონილი ღირებულებით.

2.8 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.9 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.10 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებად ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. შენიშვნები ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „სხივი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

	კომპიუტერები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	0	30 900	33 739
შემოსვლა	11 444	30 040	
გასვლა	0		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	221	5 272	3 986
შესყიდვა 2019	9 510	24 505	
ცვეთა 2019	2 948	10 217	7 971
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	3 169	15 489	11 957
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	17 785	69 956	21 782

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა
ღირებულება 31.12.2018	7 195
შემოსვლა	6 427
გასვლა	
	13 622
დაგროვილი ცვეთა	
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	247
ცვეთა 2019	770
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	1 017
წმინდა საბალანსო ღირებულება	
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	6 948
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	12 605

6 კაპიტალის ცვლილება

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 31.12.2018	1 656 131
პერიოდის მოგება 31.12.2019	1 108 734
დაგროვილი მოგება 31.12.2019	2 764 865

შპს „სხივი+“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები მოიცავს უცხოელი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსის თანხას აშშ დოლარში.

7. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი და შეიძინა გრძელვადიანი აქტივი, მიწის სახით.